

# ეპილეფსიური სამსახურების ფუნქციონირების პრინციპები

## სტრატეგიული ამოცანები

- მაქსიმალური ჯანმრთელობის მიღწევა
- ავადობის შემცირება კრუნჩხვების სიხშირისა და კრუნჩხვებით გამოწვეული ტრავმების კონტროლით და ეფექტური მხარდაჭერის განხორციელებით
- ავადობის იმ ფორმების პრევენცია, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია. ეს უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდებში, და უმთავრესად უკავშირდება კრუნჩხვებით გამოწვეულ სიკვდილიანობას, თუმცა გარკვეული პროცენტი თვითმკვლელობით არის გამოწვეული.

## ფასეულობები

- ეპილეფსიური სამსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობა ყველასათვის, საჭიროებიდან გამომდინარე
- მომსახურება ხაზს უსვამდეს გაზიარებული მზრუნველობის მნიშვნელობას პირველად და მეორეულ სამსახურებს შორის, რაც გულისხმობს რესურსების აუცილებლობას პირველადი სამსახურებისათვის
- მულტიდისციპლინარული მიდგომა, მოზრდილთა და ბავშვთა სპეციალისტების ჩათვლით
- პაციენტისა და მზრუნველის განათლებისა და ინფორმაციის სამსახურები

## მკურნალობა

- პრევენტაბელური ავადობის შემცირება 20%-ით. ამჟამად აღნიშნულის ზუსტი განსაზღვრა საკმაოდ რთულია
- რემისიის მიღწევა პაციენტთა 70%-ში დიაგნოზის დასმიდან 2 წლის შემდეგ
- იმ პაციენტების პროპორციის შემცირება 30%-ზე ქვემოთ, რომლებიც ერთზე მეტ პრეპარატს ღებულობენ
- სპეციალისტების მიერ კონსულტირებულ მოზრდილ პაციენტთა 80%-ისა და ბავშვთა 50%-ის უკან მიმართვა ზოგადი პრაქტიკის ექიმთან
- სათანადო აუდიტის აუცილებლად ჩართვა ზემოთ აღწერილ მონიტორინგის პროცესში

## ჯანმრთელობის დამკვიდრება

- თითოეულ პირველადი ჯანდაცვის ცენტრში ეპილეფსიით დაავადებული პაციენტების რეგისტრაცია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ზემოხსენებული უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ანტიეპილეფსიური მედიკამენტების, დიაგნოზის (თარიღი, გულყრის ტიპი და ა.შ.), გულყრების კონტროლი, თანმხლები დაავადებები, განმეორებითი კონსულტაციების სიხშირე და რექტალური დიაზეპამის საჭიროების თითოეული შემთხვევის რეგისტრაცია.
- პროტოკოლის შემუშავება ეპილეფსიით დაავადებულთა ინფორმაციითა და რჩევებით უზრუნველყოფის მიზნით, რაც მოიცავს ინფორმაციას მედიკამენტების მიღების გაგრძელების, პაციენტთა და მოხალისეთა საზოგადოებების, ასევე საკონსულტაციო სამსახურების ხელმისაწვდომობას.
- პირველადი და მეორეული სამსახურების მიერ ეპილეფსიის კლინიკური მართვის სახელმძღვანელოების ერთობლივად შემუშავება და შეთანხმება.

## პრევენცია

- გენეტიკური კონსულტაციების ხელმისაწვდომობა და ჩასახვისწინა კონსულტაციები ეპილეფსიით დაავადებულთათვის, რომელთაც სურთ შვილების გაჩენა (მოთხოვნის მიხედვით).
- ანტენატალური და პერინატალური მეთვალყურეობა პირველად, მეორეულ და მესამეულ სექტორებში.
- პაციენტებისა და პროფესიონალების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო ინფორმაციით ეპილეფსიის პრევენციული საკითხების შესახებ, კერძოდ:
  - თავის ტრავმა (გულყრების პრევენციის მიზნით)
  - ინსულტით გამოწვეული ტრავმების პრევენცია
  - ეპილეფსიისა და მისი მკურნალობის შედეგების მეორეული პრევენცია (მაგ. გვერდითი მოვლენების)
  - სამსახურების ურთიერთმოქმედება

## გამოკვლევები და თერაპია

- სპეციალისტთან მიმართვის კრიტერიუმები უნდა იყოს:
  - პოტენციური ახალი დიაგნოზი
  - ყოველწლიური მიმოხილვა
  - ხელმეორედ კონსულტირება გულყრების გამო, რომელიც 5 წელიწადს გრძელდება
  - თანმხლები დაავადება
- კლინიცისტების კლინიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიუხედავად, ეპილეფსიის მართვის სტრატეგია უნდა შემუშავდეს პირველად და მეორეულ დონეებს შორის მიღებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით.
- შემუშავებულ უნდა იყოს პროცედურები ეპილეფსიის მესამეულ ცენტრებში იმ პაციენტების მიმართვის მიზნით, რომელთაც აღენიშნებათ გართულებულ ეპილეფსია, ქირურგიული ჩარევის ან ფსიქიური დაავადებების მკურნალობის მიზნით. უნდა განხორციელდეს მიმართვების რაოდენობის მონიტორინგი.

## რეაბილიტაცია

- შემუშავებული უნდა იყოს კავშირის სისტემა ჯანდაცვის პირველად და მეორეულ გუნდებს შორის, ჩვეულებრივ ექთან-ეპილეპტოლოგის საშუალებით.
- კავშირის დამყარება აგრეთვე ხდება მოხალისეთა და თვითდახმარების ჯუფების საშუალებით, დამქირავებლების, სკოლებისა და სასკოლო ჯანდაცვის სამსახურების, ასევე სოციალური ორგანიზაციების მეშვეობით.
- განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:
  - სირთულეების არსებობა სწავლისას
  - ფსიქიატრიული პათოლოგია
  - თანმხლები მედიკამენტები